საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990113679198720

№10/4293 **07 / დეკემბერი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი წერილით (N10922/01 19.11.2020) წარმოდგენილი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული "სნო - ჯუთა - როშკა - შატილი - ომალო - ხადორის ხეობა - ბაწარა - ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის" არჭილო - პატარა ბორბალო - ომალოს საავტომობილო გზის (5 ლოტის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშში (პ. 3.14, ცხრილი 5.1) აღნიშნულია, რომ საპროექტო დერეფნის საზღვრებში და მის სიახლოვეს ხილული ისტორიულ–კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. პროექტის ადგილმდებარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე მიწის სამუშაოების პროცესში უცნობი არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის ალბათობა მცირეა. ასეთ შემთხვევაში, სავსებით მართებულად, გათვალისწინებულია საქმიანობის შეჩერება და შემდგომი ქმედებების "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა (პ. 4.2; გარემოსდაცვითი მართვის გეგმა - მშენებლობის ეტაპი).

პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, აღწერა და შედეგების შესწავლა უნდა განხორციელდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით, რომელიც არის საქმიანობის განმახორციელებლის ან/და საქმიანობის განმახორციელებლისთვის კონსულტანტის მიერ გზშ-ის პროცესში მომზადებული დოკუმენტი და მოიცავს "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებულ ინფორმაციას.

აქვე გაცნობებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის პორტალის (https://memkvidreoba.gov.ge) მონაცემების მიხედვით საავტომობილო გზის ლოტი 3-ის სიახლოვეს მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი და რამდენიმე ობიექტი (საბრძოლო კოშკი, ციხე სახლები და ა.შ), რომელთა GPS კოორდინატები დასაზუსტებელია (იხ. დანართი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გზშ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტები (ისტორიკოსი/არქეოლოგი), რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები და საბოლოო დოკუმენტში სათანადოდ იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია პროექტის გავლენის არეალში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენის, შესწავლისა და შედეგების სათანადო აღწერა/შეფასების შესახებ.

დანართი: 3 ფაილი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე